ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5079865

ნომერი: AR1766291

თარიღი : 13.08.2020

გაცემის თარიღი : 25.08.2020

გაცნობის თარიღი : 26.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , (ნაკვეთი 07/011) ; ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- სოხუმი, ორჯონიკიძის ქ. 73 ბ.4

ორგანიზაცია:

- შპს "ბაგები" კოდი: 405330662

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 7 აგვისტოს №AR1766291 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ბაგები, (ნაკვეთი 07/011); ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, №01.14.06.007.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 31 ივლისიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს ავტოსადგომის ფართობად 558.8 კვ.მ-ის ნაცვლად 827.1 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 471.3 კვ.მ-ის ნაცვლად 136.7 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5276.2 კვ.მ-ის ნაცვლად 5209.9 კვ.მ-ის, ხოლო ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 59.6 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ და წარმოდგენილ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებაში ავტოსადგომის ფართობი უნდა იყოს 827.1 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 136.7 კვ.მ., საერთო ფართობი - 5209.9 კვ.მ., ხოლო ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობი - 59.6 კვ.მ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 827.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 136.7 კვ.მ., საერთო ფართობად - 5209.9 კვ.მ., ხოლო ბრძანებაში ცალკე დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომის ფართობი - 59.6 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებით შეთანხმებული -5.60, -2.80 და +0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5039378 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.